

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი _ ანზორ ვიფია
თანამდებობის დასახელება - კომისიის თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება - „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“
კომისი(ებ)ის დასახელება - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისია, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) – N68.03 ეწერის ადგილობრივი
მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
საანგარიშო პერიოდი -2015 წლის 01 ნოემბრიდან 2016 წლის 01 ნოემბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) _ რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა _ 25
საკრებულოს სხდომებზე დასწრება __ 24

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _ 28
კომისიის სხდომებზე დასწრება - 28

3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა __ 12
ფრაქციის სხდომებზე დასწრება __ 12

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

ა) 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016–2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის
თაობაზე;

გ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის
მუნიციპალური პროგრამების შესახებ;

დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის
მუნიციპალიტეტში 2016-2017 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების
თაობაზე;

ე) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო
საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის
საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ;

ვ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის
დადგენის შესახებ;

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა __ 17 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა
რაოდენობა ____ 370.

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, გზების რემონტი, საბავშვო ბაღის რემონტი, წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, სკოლის რეაბილიტაცია, სოციალური პრობლემები.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

შიდა წყალსადენის ქსელის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ნაწილობრივ შეკეთდა სოფლის შიდა გზები, უზრუნველყოფილიქნა საბავშვო ბაღი სათამაშო ინვენტარით, ხოლო სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ნაწილი მომარაგდა სათბობი მასალით-შეშით.

გრძელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დღის ცენტრის ყოველთვიური თანადაფინანსება 500 ლარით, ასევე მიმდინარე წელს ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით აღნიშნული ცენტრი უზრუნველყოფილიქნა სათბობი მასალით-შეშით. რამოდენიმე მოქალაქეს რომელთაც სჭირდებოდა სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა თანადაფინანსება, სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა გარკვეულ კატეგორიას კი გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

ვარ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თვამჯდომარე. საანგარიშო პერიოდში ჩემი თვამჯდომარეობით ჩატარდა 14 კომისიის სხდომა, კომისიის სხდომაზე განხილულ ყველა საკითხთან დაკავშირებით მომზადდა სათანადო დასკვნები, რომლებიც შემდგომ განსახილველად გადაეცა საკრებულოს ბიუროს.

როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება- რესპუბლიკელები“-ს წევრი მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში, ყველა პრობლემა რომელიც წამოჭრილიქნა ამომრჩევლებთან შეხვედრისას განხილულიქნა ფრაქციის სხდომაზე და მიეცა სათანადო რეაგირება.

აქტიურად ვმონაწილეობ ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მუშაობაში. დავესწარი კომისიის მიერ ორგანიზებული 14 სხდომიდან 14-ივე სხდომას.

შევსების თარიღი- 31.10.2016წ.

წარდგენის თარიღი _31,10.2016 წ.

ხელის მოწერა

